შპს ""ნიაპოლისი"

ქ. თბილისი, გულიას №1 ს/კ 204 900 759.
ტ. 245 74 91

№ 05/22---------

14. 03. 2022

ნოტარიუს ია ყიფიანს

გთხოვთ გვითარგმნოთ 2022 წლის 10- მარტს ამერიკის საელჩოდან გამოგზავნილი წერილი და თარგმანი დაგვიმოწმოთ.

შპს „ნიაპლისის" დირექტორი გ.კერესელიძე

Embassy of the United States of America

March 10, 2022
Tbilisi, Georgia

Mr. Gocha Kereselidze
Niapoilisi Ltd. director
Mob.: +995 551 223750
e-mail: arch.bureau.5@gmail.com

Dear Mr. Kereselidze,

Thank you for submission of the development concept drawings and for the opportunity to review them against our security requirements. The Embassy has no objections to the property (C.C. 01.72.14.009.650) development close to the compound.

Urban planning and development of mentioned territory should be in accordance with the U.S. Embassy Diplomatic Note No. 061/07 and satisfy all safety measures and defined restrictions. Specifically:

- All distances which define the different restriction zones around the Embassy compound should be measured from the closest point of the Embassy compound boundary (the property line), not the center of the compound or any buildings in the Embassy compound.
- The height of buildings should comply with the note No. 061/07, however, due to the landscape characteristics, the new buildings may be higher in case they are below marginal elevation rate (+426.39). Due to the landscape diversity, building marginal heights could be measured from the altitude of the U.S. Embassy elevation rate (+426.39), instead of ground level of individual area, this will provide you with some additional flexibility with building design at locations which are lower on the down sloping part of the properties.

Respectfully,

EMBASSY OF THE UNITED STATES OF AMERICA ★ TBILISI ★

Jason Kalbfleisch
Management Counselor
US Embassy Tbilisi

ემბლემა

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო
2022 წლის 10 მარტი
თბილისი, საქართველო

ბ-ნი გოჩა კერესელიძე
შპს "ნიაპოლისი"-ს დირექტორი
მობილური: +995 551 223750
ელ. ფოსტა: arch.bureau.5@gmail.com

ძვირფასო ბ-ნო კერესელიძე,

მადლობა, რომ წარმოადგინეთ განვითარების (ნაკვეთების ათვისების) კონცეფციის ნახაზები და შესაძლებლობა მოგვეცით, განგვეხილა ჩვენი უსაფრთხოების მოთხოვნების ჭრილში. საელჩოს არ აქვს რაიმე სახის პრეტენზია [საელჩოს] ტერიტორიასთან ახლოს არსებული ქონების (საკადასტრო კოდი: 01.72.14.009.650) განვითარების მიმართ.

არსებული ტერიტორიის ქალაქური დაგეგმარება და განვითარება უნდა განხორციელდეს აშშ-ს საელჩოს #061/07 დიპლომატიური ნოტის მიხედვით და უნდა დააკმაყოფილოს უსაფრთხოების ყველა ზომა და განსაზღვრული შეზღუდვები; კონკრეტულად კი:

- ყველა მანძილი, რომელიც განსაზღვრავს საელჩოს ტერიტორიის ირგვლივ არსებული სხვადასხვა შეზღუდული ზონებს, უნდა გაიზომოს საელჩოს უახლოესი ტერიტორიის საზღვრიდან (ქონების ხაზიდან) და არა ტერიტორიის ან საელჩოს ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი შენობის ცენტრიდან.
- შენობის სიმაღლე უნდა აკმაყოფილებდეს #061/07 ნოტას, თუმცა ლანდშაფტის მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ახალი შენობები შესაძლოა იყოს უფრო მაღალი, თუკი ისინი იმყოფება ზღვრული სიმაღლის განაკვეთზე (+426.39) დაბლა. ლანდშაფტის მრავალფეროვნების შედეგად, შენობის ზღვრული სიმაღლეები უნდა გაიზომოს აშშ-ს საელჩოს სიმაღლის განაკვეთიდან (+426.39) და არა ინდივიდუალური ტერიტორიის ზედაპირის დონიდან. აღნიშნული უზრუნველგყოფთ ცალკეული დამატებითი მოქნილობით შენობის დიზაინში იმ ლოკაციებზე, რომლებიც მდებარეობს ქონებათა დაქანებული ნაწილის დაბლა.

პატივისცემით,
ხელმოწერილია, ბეჭედდასმულია
ჯეისონ კელბფლიშ /Jason Kalbfleisch/
კონსულტანტი მმართველობით საკითხებში
აშშ-ს საელჩო თბილისში

თარგმნილია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე
მთარგმნელი ირმა ჯაფარიძე



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220265169
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.03.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი ია ყიფიანი	**ია ყიფიანი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	570506164
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	61275851939622

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

15.03.2022 წელს, მე ნოტარიუსს - ია ყიფიანს, სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. # 68-ში მომმართა: ქალბატონმა **ირმა ჯაფარიძემ** (დაბ. 18.03.1969 წელს, პირადი # 01011070620, რეგისტრირებული: საქართველო, ქ. თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი 6, ბინა 61), რომელმაც წარმოადგინა თბილისში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ 10.03.2022 წელს გოჩა კერესელიძის სახელზე გაცემული წერილის თარგმანი, ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე (1 ეგზ., 1 გვ.) და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: ქალბატონმა **ირმა ჯაფარიძემ** (დაბ. 18.03.1969 წელს, პირადი # 01011070620) მომმართა.

აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შევამოწმე ის ფაქტი, რომ იგი ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას, თანახმად: "ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრი"-ს მიერ 2015 წელს გაცემული ინგლისური ენის სერთიფიკატი.

თარჯიმანი ჩემს მიერ გაფრთხილებული იქნა იმ პასუხიმგებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს არასწორ თარგმანს, მან განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა ტექსტზე, რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე - 2.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 2.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 0.36 ლარი, ჯამში: 4.36 ლარი.

ნოტარიუსი

ია ყიფიანი



Embassy of the United States of America

May 15, 2023
Tbilisi, Georgia

Mr. Revaz Tkemaladze
E-mail: arch.bureau.5@gmail.com
Mob.: +995 577 497795

Dear Mr. Revaz,

Thank you for contacting the U.S. Embassy regarding a no objection letter to your proposed construction project near the Embassy complex. The U.S. Embassy has no objection to the project development at Cadastral Code: 01.72.14.009.650 so long as the development conforms to the regulations listed in the Diplomatic Note # 061/07.

Please considered that within 201-500 meters of the Embassy complex, it is not permitted to construct residential/commercial buildings in excess of four stories; building height should be limited to 17 meters and it should have a pitched roof. All distances which define the different restriction zones around the Embassy Compound must be measured from the closest point of the Embassy Compound boundary.

Please contact us if you have substantive changes to the design.

Sincerely,

EMBASSY OF THE UNITED STATES OF AMERICA TBILISI

Brian Salverson
Management Counselor
US Embassy Tbilisi

NOTARY GEO DAVID

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო

მაისი 15, 2023
თბილისი, საქართველო

ბ-ნი რევაზ ტყემალაძე
ელ.ფოსტა: arch.bureau.5@gmail.com
მობ.: +995 577 497795

ბატონო რევაზ,

გმადლობთ, რომ დაუკავშირდით აშშ-ს საელჩოს საელჩოს კომპლექსის მახლობლად თქვენს მიერ შემოთავაზებულ სამშენებლო პროექტზე აკრძალვის არარსებობის წერილის შესახებ. აშშ-ს საელჩო არ არის წინააღმდეგი შემუშავდეს პროექტი საკადასტრო კოდით: 01.72.14.009.650 იმ პირობით, თუ პროექტი აკმაყოფილებს დიპლომატიურ ნოტაში #061/07 მოცემულ რეგულაციებს.

გაითვალისწინეთ, რომ საელჩოს კომპლექსიდან 201-500 მეტრში დაუშვებელია ოთხ სართულზე უფრო მაღალი საცხოვრებელი/კომერციული შენობების აშენება, შენობის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 17 მეტრს და უნდა ჰქონდეს დახრილი სახურავი. ყველა მანძილი, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა შეზღუდვის ზონას საელჩოს კომპლექსის ირგვლივ, უნდა გაიზომოს საელჩოს კომპლექსის საზღვრის უახლოესი წერტილიდან.

გთხოვთ დაგვიკავშირდეთ, თუ დიზაინში არსებითი ცვლილებები გაქვთ.

პატივისცემით,

ბრაიან სალვერსონი
მრჩეველი მართვის საკითხებში
აშშ საელჩო თბილისში

ნოტარიუს
GIA
ROSHIDZE

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230648188
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	19.05.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**დავით ოყროშიძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	995322745001
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	13204718757923

მე, ნოტარიუსი დავით ოყროშიძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #22/4, ვადასტურებ დიპლომირებული მთარგმნელის ნატო კუზანაშვილის (დაბადებული 14.07.1972წ, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, ორთაჭალის II შესახვევი, N 12, ბინა 2, პირადი #01015001629) ხელმოწერის ნამდვილობას წინამდებარე თარგმანზე ინგლისურიდან ქართულ ენაზე. მთარგმნელმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი აუ#025019, გაც. 22.06.1995წ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი, სარეგისტრაციო #184. მთარგმნელი ჩემს მიერ გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მთარგმნელმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვამოწმებ.

1 ეგზემპლარი
1 ხელმოწერა

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის: 6.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - 1.08 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, 5 (ხუთი) ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა;

ნოტარიუსი

NOTARY DAVID OKROSHIDZE GEORGIA

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18


NOTARY GEORGIA
DAVID OKROSHIDZE